შრომელებარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 მარტი, 1944 წ. № 46 (6990). ფასი 20 კაპ.

დაუღალავად ვაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, განვამტკიცოთ ბრიგადები და რგოლები კოლმეურნეობებში

„პრავდის“ მოწინავე — 8 მარტი

1933 წელს სიტყვაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, შეუძლიათ სამეურნეო მშენებლობის სასწაულები გვიჩვენონ, თუ მათ სათავეში უდგანან ნამდვილი ბოლშევიკები, თუ ისინი უზრუნველყოფილი არიან ადამიანებით, რომლებსაც შესწევთ უნარი დაგეგმონ მეურნეობა და ორგანიზებულად გაუძღვნენ მას. მას შემდეგ ჩატარებულია უდიდესი მუშაობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელთა, ორგანიზატორთა და სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრების შერჩევისა, სწავლებისა და აღზრდისათვის. საკოლმეურნეო სოფელში გაიზარდა რთული საარტელო წარმოების მრავალი ასეული ათასი გამოცდილი, მცოდნე და თავისი საქმის ერთგული ხელმძღვანელი.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრები მაინც ოქროს ფონდია. მშვიდობიანი დროის პირობებში ისინი სათავეში ედგნენ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა ბრიგადებს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძალიერების განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისათვის, კოლმეურნეობებში შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამული ომის წლებში, კიდევ უფრო გაიზარდა ხელმძღვანელი კადრების როლი კოლმეურნეობებში. ისინი მოწოდებული არიან დარაზმონ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები ომიანობის დროის სიძნელეთა თავდადებით დასაძლევად და უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გაფართოება. და თუ კოლმეურნეობანი, მიუხედავად სიძნელეებისა, ამარაგებენ მოსახლეობას და წითელ არმიას სურსათით, ხოლო მრეწველობას—ნედლეულით, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს საკოლმეურნეო კადრებს.

რაიონთა უდიდეს უმრავლესობაში ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სწორად შეაფასეს საკოლმეურნეო კადრების გაზრდილი როლი ომის პირობებში. კოლმეურნეობებისადმი თავის ხელმძღვანელობას მათ საფუძვლად დაუდეს მუშაობა საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა, სწავლებისა და აღზრდისათვის. ამ მუშაობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა ახლანდელ ზამთარში, როდესაც ათეულ ათასობით კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, ბრიგადირები და მერგოლურები გადამზადების გადიან სპეციალურ კურსებზე. მაგალითად, მარტო ივანოვოს ოლქის კოლმეურნეობებში იმ კადრების რაოდენობა, რომლებიც სწავლობენ და გადამზადებას გადიან, 109 ათასამდე კაცს შეადგენს. საკოლმეურნეო კადრების შენარჩუნებისა და სწავლებისათვის დიდი მუშაობა სწარმოებს მოსკოვის ოლქში და მთელ რიგ სხვა ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ საკოლმეურნეო კადრების განმტკიცების საკითხები ყველგან იდგეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში. მათ შორის ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებსაც არ ეზარებათ ილაყბონ იმ სიძნელეებზე, რაც გამოიწვია გამოცდილი საკოლმეურნეო მუშაკების ნაწილის არმიაში წასვლამ, მაგრამ ძალიან ცოტა რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი კადრები ჭიამზადონ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრ რაიონში, მაგალითად, ქირქოს ოლქის რაიონებში საკოლმეურნეო კადრების სწავლების გეგმები დღემდე მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება. ამავე დროს კი არტელების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა და მერგოლურთა შორის აქ ცოტანი როდი არიან ნაკლებად გამოცდილი ადამიანები, რაც სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს ძვირად უჯდებათ.

სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების სასიცოცხლო ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ საკოლმეურნეო კადრების კვალიფიკაციის განუწყვეტელ ამაღლებას. უამისოდ არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი არც კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაზე, არც მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაზე. ამ მუშაობისათვის პასუხისმგებელობა მთლიანად ეკისრებათ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებსა და სამეწარმოო-მეიდო ორგანოებს. მათი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველ კოლმეურნეობას, ბრიგადას, რგოლს სათავეში ედგნენ თავისი საქმის მცოდნე ადამიანები.

საკოლმეურნეო კადრების მომზადებასთან განუყრელად დაკავშირებულია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების, ბრიგადებისა და რგოლების განმტკიცების ამოცანა. მხოლოდ ის კოლმეურნეობა უძღვება წარმატებით და აფაროებს თავის მეურნეობას, სადაც დამყარებული ბოლშევიკური წესრიგი, სადაც სწორად არის ორგანიზებული შრომა, სადაც მტკიცეა შრომის დისციპლინა და, პირიქით, კოლმეურნეობათა ნაწილის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათში შესუსტებულია ყურადღება ორგანიზაციული საკითხებისადმი.

მომავალი საგაზაფხულო თესვა უნდა გახდეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი იმ საქმეში, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი მოწინავეთა დონემდე წამოეწიონ. თესვის გეგმის წარმატებით შესრულება, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ვადების შემცირება და ხარისხის ამაღლება საშუალებას მისცემს ყოველ ამქამად ჩამორჩენილ კოლმეურნეობას დასძლიოს ჩამორჩენა, ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. განამტკიცოს თავისი საზოგადოებრივი მეურნეობა და სავსებით უზრუნველჰყოს კოლმეურნეთა საჭიროებანი. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა მტკიცე წესრიგი უნდა დაამყარონ ჩამორჩენილი არტელების საქმეთა მართვაში, განამტკიცონ ბრიგადები და რგოლები, აღმოფხვრან უყურადღებოდ მიგდების ფაქტები შრომის ორგანიზაციასა და აღრიცხვაში, რასაც აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი.

ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილებზე ცალკეულმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა ომის დროს შეასუსტეს ყურადღება ორგანიზაციული საკითხებისადმი კოლმეურნეობებში. ისინი შემარიგებლურად ეკიდებიან საკოლმეურნეო წესდების დარღვევას, ორგანიზაციულ მოუგვარებლობას. ისინი არ უჩრქავენ არაორგანიზებულობის ფაქტებს, ბრიგადებისა და რგოლების თვითნებური დარღვევის, ბრიგადირთა და მერგოლურთა ხშირი ცვლის, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. ამ მხრივ გასულ წელს არაასახარბიელო მაგალითს წარმოადგენდა აღტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონი, სადაც წლის დამლევისათვის კოლმეურნეობებში თითქმის ყველა რგოლი დაიშალა. სულ ცოტა ხნის წინათ კი ბელოგლაზოველები ხომ სამართლიანად ამაყობდნენ მაღალი მოსავლის რგოლებით. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შეუხებლობამ ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, **რომ დაუღალავად განამტკიცებდე მათ მეურნეობრივად, განამტკიცებდე ორგანიზაციულად.** ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკები დღითი დღე უნდა სწვდებოდნენ საკოლმეურნეო ცხოვრების დეტალებს, სწავლობდნენ საკოლმეურნეო ეკონომიკას, ეხმარებოდნენ საკოლმეურნეო კადრებს, ასწავლიდნენ მათ შრომის სწორ ორგანიზაციას, ასწავლიდნენ ყოველდღიურად და სგნორბრივად, მოწინავე კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების გამოცდილების საფუძველზე.

საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის რგოლური სისტემის უდიდესი მნიშვნელობა დადასტურებულია მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებით. შრომის რგოლური ორგანიზაცია სპობს ბრიგადაში გაუპიროვნებას, აადვილებს ბრიგადის წევრებისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს მათს მოშაობაზე, ფართო საშალოს უხსნის კოლმეურნეთა პირად ინიციატივას მიწის დამუშავების გაუმჯობესებაში, სასუქების შეტანაში, ნათესების მოვლაში.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რგოლის ორგანიზაციით კიდევ არ სწყდება შრომის რგოლური სისტემის დანერგვის საკითხი. დიდი მნიშვნელოვანია იმის მიღწევა, რომ რგოლები ნამდვილად შეეჭიდნენ, რომ მათთვის დროულად გამოჰყონ ნაკვეთები, მისცენ დავალები მოსავლიანობის დარგში. ზუსტად დაიცვან კანონი შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ, არ დაარღვიონ რგოლების მუდმივობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში. საჭიროა, და სასურველ, ბოლო მოეღოს მანკიერ პრაქტიკას, როდესაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში რგოლები მხოლოდ ქაღალდზე იქმნება, ნამდვილად კი მათ ვერანაირად ვერ იხოვნი.

შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის მოწესრიგებისათვის სერიოზული მუშაობის ჩატარება მოგვეალის გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონთა კოლმეურნეობებში. აქ ხელახლა გვიხდება დადგომა კომპლექტოთ მუდმივი ბრიგადები, ხოლო ბრიგადებში რგოლები, შევარჩიოთ კარგი ბრიგადირები და მერგოლურები, მივამაგროთ ბრიგადებსა და რგოლებს მიწის ნაკვეთები, მუშა-საქონელი, ინვენტარი. რაც უფრო ორგანიზებულად ჩატარდება ეს მუშაობა, მითუმეტეს, რომ უფრო მალე იქნება უზრუნველყოფილი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

დღითი დღე ახლოვდება გახარებული საგაზაფხულო ალოობა. ჩვენი ქვეყნის სამხრეთმა რაიონებმა უკვე დაიწყეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. ახლოვდება საგაზაფხულო თესვის დრო ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც. მასობრივი თესვისათვის მოსამზადებლად რამდენიმე კვირაღა დარჩა. დადგა ის დრო, როდესაც ყოველ დღეს, ყოველ საათს უნდა სწარმოებდეს დაუცხრომელი მუშაობა თესვის სამუშაო გეგმების შედგენისა და დაზუსტებისათვის, ორგანიზაციულ-დაუმთავრებლობათა აღმოფხვრისათვის. კოლმეურნეობებში ძალთა და საშუალებათა გადანაწილებისათვის.

ყოველი კოლმეურნეობა, ყოველი ბრიგადა, ყოველი რგოლი თესვას უნდა შეხვდეს ძალიერ მატერიალურ-ტექნიკური საშალოებით თესვამდე აღჭურვილი, ორგანიზაციულად საკადრისებით მზადყოფილი. ამას მოითხოვს უზარმაზარ საგაზაფხულო-საველე სამუშაოთა ინტენსიური ბრძოლის ინტერესები, ინტერესები მოსახლეობისა და წითელი არმიისა. ეს მოითხოვს ჩვენი სამშობლოს ინტერესები.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანება.

ბროშურის ტირაჟი 5 მილიონი ეგზემპლარია (საკდესი).

ირანით მომავალი საიმპორტო-სამხედრო მასალებითა და მანქანებით ფრონტის უზრუნველყოფის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანებულებით მუშაკთა დიდი ჯგუფი ირანით მომავალი საიმპორტო სამხედრო მასალებითა და მანქანებით ფრონტის უზრუნველყოფის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით

ჯაფაროვი ალი ასად ოღლი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

ბერიძე დავით დიმიტრის-ძე

გომარელი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე

ნემსიწვერიძე აბელ ლუკას-ძე

ტაბატაძე დავით ბარამის-ძე

შარაშენიძე მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ესაკია გიორგი სოლომონის-ძე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

ბაირამოვი ახმეტ ბაირამ ოღლი

გოგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ვართანიანი აშოტ კნაზის-ძე

ომაროვი ბახჩო თომას-ძე

ჩადრანოვი არკადი ეფრემის-ძე.

(საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

ირანით მომავალი საიმპორტო სამხედრო მასალებითა და ავტომანქანებით ფრონტის უზრუნველყოფის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულ არიან უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი მიხეილ გიორგის-ძე **კალატოზაშვილი** და სერჟანტი დმიტრი ლუკას-ძე **ბენდიაშვილი.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 მარტის საინფორმაციო ცნობა

3 მარტს განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენი ჯარები გააგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ **ნარვის** სამხრეთ-დასავლეთით პლაცდარმის გასაფართოებლად და პოზიციები გაიუმჯობესეს.

ფსკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები მარკოვო, ბოლშოე და მალოე ფომკინო, იაზიკოვა, სოროკინო, სტარუხინო, პოხვალშინა, რამენიე, ლეტნევო, ბაევო, სიხოეოვო და რკინიგზის სადგურები დობროვეიკი, კეები.

ოსტროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების შედეგად დაიკავეს დასახლებული პუნქტები ზაგარინე, კრასნიე პრუდი, სტრელკოვო, პოდგორეზიე, ოვეჩინო, სელივანოვკა და რკინიგზის სადგურები კრასნიე პრუდი, ჟელეზოვსკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მნიშვნელოვანი მოქმედება და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

2 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 45 თვითმფრინავი.

* * *

ნარვის მიმართულებით 6 შენაერთის მებრძოლებმა განდევნეს გერმანელები ტყიანი ადგილმდებარეობის ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან. ორი დღის ბრძოლებში ამ უბანზე მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაგართვეთ 14 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 80 ტყვიამფრქვევი, 100 ათასი ვაზნა და 3 საწყობი საბჭდრო ქონება. სხვა რაიონში ჩვენმა მსროლელებმა და მეავტომატეებმა შემოუარეს მოწინააღმდეგის ა ზურგიდან და ფლანგებიდან დარტყმებით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა 300-ზე მეტი ჰიტლერელის გვამი. ხელთ ვიგდეთ 3 ქვემეხი, 28 ტყვიამფრქვევი, მრავალი შაშხანა და ავტომატი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ფსკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს. მოწინააღმდეგეს ფსკოვის მისადგომებზე მდებარე ყველა დასახლებული პუნქტი თავდაცვის მძლავრ კვანძებად აქვს გადაქცეული და ძლიერ ცეცხლთს წინააღმდეგობას გვიწევს. ნ შენაერთის ნაწილებმა მძაფრი დარტყმებით განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასაყრდენი პუნქტიდან. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 9 ტანკი, 16 ქვემეხი და 7 სანაღმტყორცნო ბატარია. წითელარმიელი, ყაზახი ისლამ აიტმუხამბეტოვი ტყვიამფრქვევის ცეცხლით ეხმარებოდა შემტევ მსროლელებს. როცა მოწინააღმდეგე კონტრიერიშზე გადმოვიდა, აიტმუხამბეტოვმა მტრის მწკრივები ახლო მანძილზე მოუშვა, შემდეგ კი რამდენიმე ჯერით გაანადგურა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. ერთ დასახლებულ პუნქტში ჩენენმა მებრძოლებმა გაათავისუფლეს 4 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები კატორღულ სამუშაოზე მიერეკებოდნენ გერმანიაში.

* * *

ოსტროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ტყიან-ჭაობიანი ადგილმდებარეობის ძნელ პირობებში მოქმედებდნენ, ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ერთ პუნქტში გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნა გერმანელთა სამი ასეული ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 4 ქვემეხი, 38 ტყვიამფრქვევი და სომარი მასალების ერთი საწყობი. სხვა ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა ღამით იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს დიდი მნიშვნელობის მქონე პოზიციები. დარტყმა იმდენად უეცარი იყო, რომ გერმანელებმა მთელი თავდაცვითი იარაღი დაჭარეს და უკან დაიხიეს. მოწინააღმდეგემ უკანდახევისას 200-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვა.

* * *

ბარანოვიჩის ოლქში მოქმედმა ბელორუსულ რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლინდაჟიდან გადაავიდა გერმანელთა 40 სამხედრო ეშელონი. დაშტვრეული და დაზიანებულია რამდენიმე ათეული ორთქმავალი და 260 ვაგონი და პლატფორმა. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა აიფეთქეს 11 ხიდი, დაანგრიეს კავშირგაბმულობის 92 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი და ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის 4 დიდ საწყობს.

* * *

უნგრეთის მმართველი ხროვა ყოველნაირად ცდილობდა დაეშალა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში უნგრეთის ჯარების მონაწილეობა გერმანელთა მხარეზე. ბუდაპეშტში სოხზადგინენ მრავალ უარყოფას, რაც ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ მოეტყუებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ საბჭოთა ჯარების მიერ ტყვედ წამოყვანილმა უნგრელებმა ქვეითებმა, ტანკისტებმა და მფრინავებმა აჩვენეს ჰიტლერის ბუდაპეშტელ ხელმძღვანელთა უტიფარი სიცრუე. სრული უეცრობით და შეურყეველად იქნა გამორკვეული, რომ უნგრეთის ჯარები მონაწილეობას იღებენ ბრძოლებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მოწინავე პოზიციებზე. დანაშაულის ადგილას დაჭერილი უნგრელი მმართველები იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ გერმანელთა მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე მართლაც იმყოფებიან უნგრეთის ჯარები. მაგრამ, ამტკიცებენ უნგრელი ჰიტლერელები, ეს ჯარები კი არ ომობენ, არამედ „დაცვის სამსახურს“ ეწევიანო.

უნგრელთა დივიზიები მონაწილეობენ აქტიურ საომარ მოქმედებაში სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანელთა მხარეზე ფრონტის „დაცვის სამსახურს“ ეწევა გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში.

რას აკეთებენ უნგრეთის „მცველი“ ნაწილები. ვისგან იცავენ ისინი გერმანელთა კომუნიკაციებს და სამხედრო ობიექტებს? უნგრელი დაქირავებული აგენტები ჭოფაკი ძაღლებივით იცავენ გერმანელთა ზურგს საბჭოთა პატრიოტებისაგან, რომლებიც თავდადებულ გმირულ ბრძოლას ეწევიან გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ ბევრი რამ მოგვითხრონ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს გერმანელთა „დაცვის სამსახური“. ნამდვილად ეს „მცველი“ ნაწილები ჰიტლერელთა კარნახით მოსახლეობას ანამეტევენ პურს და სხვა პროდუქტებს და შიშველს განუმზადებენ მას. უნგრელი დამსჯელები უსწორდებიან მშვიდობიან და ღმწეო მოსახლეობას, ულტენ ქალებსა და ბავშვებს, მიწასთან ასწორებენ საბჭოთა სოფლებს. აი ამ ავაზაკებს, ამ ომს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ უწოდებენ გერმანელები „დაცვის სამსახურს“. უნგრელებს, რომლებიც ამ სამარცხვინო როლს ასრულებენ, სურთ ბატკნის ნიღაბი ჩამოიფხატონ თავზე, მაგრამ ამ ნიღაბიდან გამოშვერილია ფაშისტი ბანდიტისა და ავაზაკის საზიზღარი დინგი.

უნგრეთის გათახსირებული მმართველი წრეები ცეცხლს ეთამაშებიან. დაე თავის თავს დააყვედრონ. როცა განკითხვის ჟამი დადგება, ისინი მიიღებენ იმას, რაც დიმიტროვს.

საკავშირო კომუნისტ

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის 1944 წლის 3 მარტის სხდომის შესახებ

გუშინ, 3 მარტს, დღის 11 საათზე, რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა ეროვნებათა პატარა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ბ. ნ. ბეგოვატოვი.**

რსფსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და რსფსრ 1940, 1941 და 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: რსფსრ საგაზაფხულო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ვ. ი. კოლდანოვი,** დეპუტატი **ვ. ვ. ვეტოშკინი** (სიტიკარის საარჩევნო ოლქი, კომის ასსრ), რსფსრ საგზაო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ბ. ვ. პეროვი,** ხალხთა მშრომელთა დეპუტატების ივანოვოს ოლქის საბჭოთა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბ. ნ. შუბინი,** რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. **ა. ფ. ტრეტიაკოვი,** დეპუტატები **დ. გ. ონიკა** (ზასტის საარჩევნო ოლქი, ხოსტროვის ოლქი), **ლ. ი. ეზჩენკო** (კონსტანტინოვკის საარჩევნო ოლქი, როსტოვის ოლქი), **ზ. ი. სოჩნევა** (ზადრინის საარჩევნო ოლქი, კურგანის ოლქი), რსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. **ვ. ი. მაკაროვი,** რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი,** დეპუტატი **ი. პ. კუპრიანოვი** (ატიაშევის საარჩევნო ოლქი, მორდვეთის ასსრ), რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ვ. პ. სმირნოვი.**

ამით იხურება რსფსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მეოთხე სხდომა.

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის 1944 წლის 3 მარტის სხდომის შესახებ

კიევი, 2 მარტი. (საკდესი). 1944 წლის 1 მარტს კიევში გაიხსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია.

სესია გახსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ვ. კორნეიჩუკმა.

უკრაინის სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლება გერმანელ დამპყრობთაგან და საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენის მოხსენებები ამოცანები.

2. უკრაინის სსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება ანგარიშებისა უკრაინის სსრ 1940, 1941 და 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

3. უკრაინის სსრ თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის უსაფუძვლოდ.

4. დამტკიცება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა, რომლებიც მიღებულ იქნა სესიებს შუა პერიოდში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

კამათისა და ამხ. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ პირველ საკითხზე ერთსულოვნად მიღებულია შემდეგი წინადადება:

„მოისმინა რა უკრაინის სსრ საბჭომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ხრუშჩოვის მოხსენება, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია იწონებს უკრაინის სსრ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობასა და პოლიტიკას“.

გარდა ამისა დეპუტატ ი. მ. მარტინენკოს წინადადებით ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო მიღებულია კიევ შემდეგი გადაწყვეტილება:

„უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია მხურვალე მადლობას უძღვნის ჩვენს საბელოვან წითელ არმიას, რომელიც გერმანელ დამპყრობთაგან ათავისუფლებს წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია მხურვალე მადლობას უძღვნის დიდ რუს ხალხს და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, საკავშირო მთავრობას, ბოლშევიკურ პარტიას და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს იმ დახმარებისათვის, რასაც ისინი უწევენ უკრაინელ ხალხს მის ბრძოლაში გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, გერმანელი ოკუპანტებისაგან უკრაინის მიწა-წყლის წარმატებით განთავისუფლებაში, და იმ დახმარებისათვის, რასაც ისინი უწევენ უკრაინელ ხალხს გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეული საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში“.

ამის შემდეგ სესია გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე.

ფაშისტ ბანდიტთა აღიარება

ლენინგრადის ფრონტი, 28 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების ერთი თვის შეტევის შედეგად ფანადურეტულია გერმანელთა არმიის მთავარი სარდლობის მძიმე არტილერიის დიდი დაჯგუფება, რომელიც ლენინგრადს უშენდა. 150-დან 406 მილიმეტრამდე ყალიბის 320 ქვემეხიდან, რომლებითაც შეიარაღებული იყო ეს დაჯგუფება, 280 ქვემეხი მოსპეს ან ხელთ იგდეს ჩვენმა ჯარებმა. ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილ 7.200 გერმანელ ჯარისკაცსა და ოფიცერს შორის ბევრნი არიან არტილერისტები იმ დივიზიონებიდან, რომლებიც სისტემატურად უშენდნენ ლენინგრადს. მოგვყავს ზოგიერთი ჩვენება, რაც ტყვე გერმანელმა არტილერისტებმა დაკითხვისას მისცეს.

910-ე საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონის მე-2 ბატარეის რაზმის მეთაურმა ფელდფებელმა ფრიც კეპკემ განაცხადა:

— განსაკუთრებული დანიშნულების 910-ე პოლკი მონაწილეობას იღებდა ლენინგრადისათვის სისტემატურ დაშენაში. დაშენა სწარმოებდა სწრაფი სროლით — საცხოვრებელი შეტევებს ბოხდა მოსახლეობასა და გერმანიის სამხედრო ნაწილებს შორის. შეტევების ბიზი იყო, რომ გერმანელებმა მასობრივად ჩამოართვეს მოსახლეობას სურსათი და ქონება, აგრეთვე რეკვიზიცია უყვეს ბევრ საცხოვრებელ სახლს მათში გერმანელთა ჯარების დასაბინავებლად.

— ამხანაგებო, სასტიკად იძიეთ შ ჰიტლერელ ორფება მზეცებზე ჩემი, ამხანაგისათვის, ჩვენი მშობლების ცრემლებისა ვის. კიდევ მრავალი საშინელება ხდება ჩ მეზობელ სოფლებში, სადაც ჯერ კ მტერი იმყოფება. **გასწიეთ** წინ, დასავლ საკენ, **გათავისუფლეთ** დიდება და ა ტანკჯა-წყაროებისაგან. სიკვდილი გერმ დამპყრობლებს! სიკვდილი ჩემი ამხანაგ მკვლელებს!

სიტყვით სიტყვით გამოვიდა ბეგარ რიგითი მებრძოლი ფ. ავერინი:

— უკანასკნელ ბრძოლებში,—სთქვა მ მე მოვკალი ასამდე ჰიტლერელი, მო მტრის ათობით საცეცხლე წერტი, მა ოლა ვხედავ უდანაშაულოდ დასჯილ ბავ თა გვამებს, სისხლი ვერ თავსდება ძ ვებში და ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ც მაქვს გაკეთებული. ფიცს ვდებ თქვენს ნაში, უდრეოდ დიდუპელო პატარა მეგ რენო, რომ კიდევ მეტი თავდადებით ვ ძოლეთ, თქვენს სიკვდილს ვანანებთ მტ ძირშივე მოვკვეთთ ამ ხელს, რომელიც თ ნი სიცოცხლის ჩასაქრობად აღიმართა.

ოიტინგის შონაწილენი მდუმარედ ისმ ნენ გულის სიღრმიდან ამოზეთქილ ცეცხ ვან სიტყვებს. ეს იყო მთელი წითელ არმიის ფიცი სამშობლოს წინაშე. დ ცრემლებენ შეშრობოდათ თვალებზე.

გავაუმჯობესოთ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა

კასპის რაიონში მასობრივ-კულტურული მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა რაიონის კულტურის სახლი (დირექტორი ა. ნიკოლაიშვილი). იგი მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. კულტურის სახლმა 1943 წელს მოაწყო ფრონტისა და ზურგის მოწინავე მებრძოლთა სურათების გამოფენა. სახლში სისტემატურად ეწყობა კინოსურათების ჩვენება. ამ ცოტა ხანში რაიონის მშრომელებს უჩვენეს ისეთი ცნობილი კინოსურათები, როგორიც არის „ვიორგი სააკაძე", „ის იცავს სამშობლოს", „რაიკომის მდივანი", „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და სხვ. კულტურის სახლთან არსებული ვეჩონგურეთა ანსამბლი ხშირად ატარებს საჯარო-კონცერტებს. ანსამბლი აგიტბრიგადასთან ერთად აწყობს კონცერტებს მთის ზონის კოლმეურნეობებში.

კარგად მუშაობს აგრეთვე სოფელ ხოვლეს სასოფლო საბჭოსთან არსებული ქოხ-სამკითხველო (გამგე მ. მერეშვილი). სამკითხველოსთან შექმნილია დრამატიული და სახელოსნო-თავდაცვითი წრეები. სამკითხველოს აქტივი აწყობს საუბრებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, კითხვა-პასუხის საღამოებს. აგიტატორები, რომლებიც სამკითხველოს ირგვლივ არიან შემოკრებილნი, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში, აწარმოებენ გაზეთების ხმამაღლა კითხვას, ესაუბრებიან სამამულო ომის ეპიზოდებზე, გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებზე და მშრომელთა ამოცანებზე. ქოხ-სამკითხველოსთან არსებულ კედლის გაზეთში სისტემატურად შუქდება ჟოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება. კარგად მუშაობენ აგრეთვე წითელ ქალაქისა და დოღისის სამკითხველოები.

მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. სოფელ კოდისწყაროს სასოფლო საბჭოსთან არსებულ ქოხ-სამკითხველოს საკუთარი ბრიგა კი არა აქვს. ძლიერ ცოტა აქვს ლიტერატურაც. იქ სრულიად არ მუშაობენ წრეები, არ გამოდის კედლის გაზეთი, სამკითხველოს არა ჰყავს აქტივი.

კასპის სარაიონო ბიბლიოთეკა (გამგე ნ. შამაკოვი) სუსტად მუშაობს. ეწყობილი არ არის ლიტერატურის გამოფენები, არ ეწყობა ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა, არა აქვთ გაზეთის გასაკრავი „ვიტრინა", ბიბლიოთეკას არა აქვს სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, მიღებული გაზეთების კომპლექტი არ არის დაცული, წიგნები არ არის დამუშავებული, ადგილი აქვს წიგნების დაკარგვისა და თაღის დროზე დაუბრუნებლობის შემთხვევებს. სამკითხველო არ აწყობს ლექციებსა და საუბრებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, კითხვა-პასუხის საღამოებს, ჩაშლილია საწრეო მუშაობა. სუსტად მუშაობენ აგრეთვე ალიანის, ერთაწმინდის და სხვა სასოფლო სამკითხველოებიც.

რაიონის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, განათლების განყოფილებამ სათანადო ზომები უნდა მიიღონ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ვ. ბუზალაძე

მივცეთ ქვეყანას მეტი ქვანახშირი!

ტყვარჩელელი მეშახტეები ეხმაურებიან ჭიბულელთა გამოწვევას

ტყვარჩელი („კომუნისტის" საკ. კორ.). ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში მოწონებით შეხვდნენ ტყიბულელი მეშახტეების მიმართვას 1944 წელს მეშახტეთა შეჯიბრების განგრძობის შესახებ.

უბნებში, ცვლებსა და ბრიგადებში ფართოდ განიხილეს ტყიბულელთა წერილი და ახალი ვალდებულებანი იკისრეს ქვანახშირის ამოღების დავალებათა გადამეტებით შესასრულებლად.

ტყვარჩელის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ტყიბულელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად იკისრეს შემდეგი საწარმოო ვალდებულებები: გადაკარბებით და ვადაზე ადრე შეასრულონ ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე მისცენ ქვეყანას 8.000 ტონა ქვანახშირი; სამთო მოამზადებელ სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით; მიმდინარე წლის განმავლობაში გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით; მიაღწიონ 600.000 მანეთის ეკონომიას; დადგენილ სტანდარტთან შედარებით 2,5 პროცენტით გააუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი; 105 პროცენტით შეასრულონ კაპიტალური მშენებლობის გეგმა და საშენებლო სამუშაოთა თვითღირებულება შეამცირონ 8 პროცენტით; მოზოგონ ელექტროენერგია მიღებულ ნორმაზე 5 პროცენტის გადაჭარბებით; მოამზადონ 10 ბნგრეველი, 5 ბენბეგე, 5 ელექტროზეინკალი და 5 საყელე მანქანაზე მოპუშავე.

— სამშობლო, ფრონტი მეტ ქვანახშირს მოითხოვს, — განაცხადა მოწინავე უბნის უფროსმა ამხ. მ. აგუმავამ. — ჩვენი პირველი უბნის კოლექტივი მხურვალედ ხვდება ტყიბულელებთან სოციალისტური შეჯიბრების განგრძობის წინადადებას. ეკისრულობთ წლიური გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 1.500 ტონა ქვანახშირი.

ორდენოსანმა მბურღავმა პ. ზვერევინმა გაიცხადა, რომ, უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის 23 თებერვლის ბრძანებითა და სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებით აღფრთოვანებული, იგი წელს ორი წლის დავალებას გაანაღდებს და აღზრდის ორ ახალგაზრდა მეშახტეს. შეასწავლის მათ ბურღვის საქმეს.

მეოთხე უბნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 2.000 ტონა ქვანახშირი.

ტყვარჩელელები უკვე შეუდგნენ ვალდებულებათა განაღდებას. მათ ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნეს წითელი არმიის XXVI წლისთავი. 23 თებერვალს ტყვარჩელელებმა 125,8 პროცენტით გაანაღდეს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალება.

გ. მერკვილაძე
ა. კალატოზაშვილი

ჭყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტმა შეასრულა თებერვლის გეგმა

ტყვარჩელი („კომუნისტის" საკ. კორ.). თებერვლის ბოლო რიცხვებიდან ტყვარჩელის მეშახტეები სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებებს. თებერვლის საწარმოო დავალება კი მთლიანად ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტმა წარმატებით შეასრულა.

თებერვალში ყველა უბანს გაუსწრო მეოთხე უბანმა (უბნის უფროსი ამხ. აივაზოვი), რომელმაც ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება 109 პროცენტით შეასრულა. ტრესტის ხაზით მეორე ადგილზე გამოვიდა პირველი უბანი (უბნის უფროსი ამხ. აგუმავა), რომელმაც თებერვლის დავალება 106,7 პროცენტით შეასრულა.

დიდი სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიულ ბრძანებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყიბულელთა გამოწვევას ტყვარჩელელი მეშახტეები ქვანახშირის ამოღების ზრდით უპასუხებენ.

ჭყიბულელები ზრდიან ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორ.). ტყიბულის მაღაროელები და მეშახტეები ამხანაგ სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიულ ბრძანებას უპასუხებენ ახალი საწარმოო აღმავლობით ქვანახშირის ამოღების საქმეში. ქვანახშირის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ დასავლეთის შახტი და სტალინის სახელობის მაღარო. ამ შახტმა და მაღარომ თებერვალში ქვანახშირის ამოღების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, სტალინის სახელობის მაღარომ თებერვლის საწარმოო დავალების შესრულება დაამთავრა 24 თებერვალს, ხოლო დასავლეთის შახტმა — 28 თებერვალს. 29 თებერვლისათვის შახტსა და მაღაროში გეგმის გადამეტებით ამოღებული იყო 259 ტონა ქვანახშირი.

ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელა ივ უბნის მეშათა კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სამთო ტექნიკოსი ამხ. შ. შოთაძე. შოთაძის უბანმა 28 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღო 620 ტონა ქვანახშირი, რითაც პირველი ადგილი დაიკავა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მასშტაბით.

დ. საბელაშვილი

საქართველოს № 9 ახალგაზრდული რაზმის გამარჯვება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ, საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის საგეტალურგიოს სახალხო კომისარიატმა შეადგინეს დონბასის მეტალურგიული კომბინატების აღდგენაზე მომუშავე სახელმწიფო შრომითი რეზერვების ახალგაზრდული რაზმების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1944 წლის ივნისისათვის.

დონბასის მეტალურგიული კომბინატების აღდგენაზე მომუშავე ახალგაზრდული რაზმების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად არის აღიარებული საქართველოს სსრ ახალგაზრდული რაზმი № 9 (რაზმის უფროსი ამხ. სარქისიანი, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი ამხ. ზიმბილევი), რომელიც მუშობს ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის (სტალინის ოლქი) აღდგენაზე. რაზმს დაუტოვეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და გადასცეს ფულადი პრემია 75.000 მანეთი.

ი. ბ. სტალინის სახელობის საარტიერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად

ეხმაურებიან საარტიერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას

პასუხად ი. ბ. სტალინის სახელობის სა-

ნინო-ოდრკი, 2 მარტი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი უფლინგტონიდან (კალიფორნიის შტატი) გადმოგვცემს, 26 თებერვალს წყალში

უნგრეთის მმართველი ხროვა შეშფოთებულია უკმაყოფილების ზრდით უნგრეთში

სტამბოლი, 2 მარტი (საკადესი). უნგრეთის მმართველი ხროვა შეტად შეშფოთებულია უნგრეთში მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდით. როგორც გაზეთი „პესტერ ლოიდი" იუწყება, უნგრეთის პროპაგანდის მინისტრმა ანტალმა და ‹ მისმა თანაშემწეებმა საპრობაგანდო მგზავრობა მოაწყეს უნგრეთში „სიმშვიდის დამყარების" მიზნით. უნგრეთის მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილ კრებებზე ანტალი ემუდარებოდა უნგრელებს „გაერთიანდითო" და, როგორც გაზეთი სწერს, „მოუწოდებდა გაერთიანებული ძალებით ებრძოლოთ იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარი საშუალებით ძირი გამოუთხარონ შინაურ ფრონტს". „გადამწყვეტ ეტაპს, — განაცხადა ანტალმა, — მიიღწია არა მარტო ომმა ფრონტებზე, არამედ ნერვების ომმაც უნგრეთში".

ამას წინათ, როგორც ამავე გაზეთი იუწყება, სამხედრო საქმეთა პარლამენტის კომისიის სხდომაზე საომარი მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხედრო მინისტრმა ჩატანმა. მისი განცხადებით, უნგრეთში „შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საზოგადოებრივ აზრს სჯერა სხვადასხვა შემაშფოთებელი ხმები".

უნგრეთის პოლიცია და სასამართლო ორგანოები მკაცრად უსწორდებიან „არასამოდელ ელემენტებს". უნგრეთიდან მიღებული ცნობებით, თებერვლის დამდეგს დებრეცენში დაპატიმრებულ იქნა 30-მდე ინტელიგენტი და მუშა, რომელთაც ბრალად ედებათ მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება, დაახლოებით ამდენივე მუშა დააპატიმრეს ამას წინათ კაპოშვარში. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ უკანასკნელ ხანს ბუდაპეშტში მოხდა მთელი რიგი სტუდენტთა კრებები, რომლებზედაც გამოსმდა მოწოდებანი ომიდან უნგრეთის გამოსვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ უფრო მკაცრი პოლიტიკური კონტროლი დაწესეს უმაღლესი სასწავლებლებისადმი.

იაპონიის მთავრობის საგანგებო ღონისძიებანი

ტოკიო, 2 მარტი (საკადესი). როგორც დომეი ცუსინის საააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის მთავრობამ თავის 29 თებერვლის სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება ოთხონბის დროის ოთხი საგანგებო ლონისძიების შესახებ, რომლებიც დასაბუთებულია იმით, რომ აუცილებელია „ქვეყნის მართვის, აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების მოწესრიგება საომარი მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით". ეს ოთხი ღონისძიება, საგენტოს სიტყვით, შეიცავს, პირველი, ბირველხარისხოვან გასართობ დაწესებულებათა დროებით დახურვას; მეორე, მთავრობის დაწესებულებებისათვის საკვირაო დღესასწაულების გაუქმებას; მესამე, მთავრობის პირთა საქმიანი მგზავრობის შეზღუდვას და, მეოთხე, ყველა იმ დოკუმენტის მოსპობას, რომლებიც საჭირო არ აღმოჩნდება, და ზედმეტი საკანცელარიო მოწყობილობის ყველგან მიზანშეწონილად გამოყენებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

28-29 თებერვალს და 1 მარტს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XV სამეცნიერო სესია.

სესია გახსნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკად. გ. ახვლედიანმა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე—„მეტყველებისა და სმენის პოსტკონტუზიური დარღვევის საკითხები"—მოხსენებით გამოვიდნენ აკად. გ. ახვლედიანი, ს. ყიღენტი, ა. კაიშაური, ნ. ასამბაძე და ა. ჩარგეიშვილი, რომლებიც მუშაობენ ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებასთან შექმნილ მეცნიერ მუშაკთა ჯგუფში (ხელმძღვანელი აკად. გ. ახვლედიანი). ეს ჯგუფი № ჰოსპიტალში მუშაობს სამამულო ომში კონტუზებულ მებრძოლთა დაზიანებული სმენისა და მეტყველების შესწავლასა და აღდგენა-განსწორებაზე. ზემოთ აღნიშნულ ლოგოპედებისა და ოტო-ლარინგოლოგების მეცნიერული მუშაობის შედეგად მრავალი მებრძოლი განიკურნა და ფრონტს დაუბრუნდა.

მომხსენებლებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეტყველებისა და სმენის პოსტკონტუზიური დარღვევის საკითხებზე მუშაობისას მიღებულ შედეგებს.

შემდეგი მოხსენებით — „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში" — გამოვიდა თ. შარაძენიძე. სხდომა დამთავრდა მ. ხუბუას მოხსენებით — „სპარსულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან". მომხსენებელმა მოიყვანა ბევრი რიგი ფაქტები იმის შესახებ, რომ ქართულში მრავალად მოიპოვება ირანული წარმოშობის სიტყვები, რომელთაგან ნაწილი იშვიათად იხმარება თვითონ სპარსულში და რომ შედარებით მცირე ნაწილი ირანული წარმოშობის სიტყვებისა სრულიად უცვლელია, ან მეტად უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდის ქართულში და სხვ.

29 თებერვალს საინტერესო მოხსენებით (წინასწარი მოხსენება) გამოვიდა აკადემიკოსი არ. ჩიქობავა. მოხსენების თემა იყო „გრამატიკული კლას-კატეგორიები და ბრუნვის ნიშანთა გენეზისი ქართულში". სხდომა დამთავრდა აკად. ვ. თოფურიას მოხსენებით (წინასწარი მოხსენება) „ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვებასთან შედარებით".

საბოლოო სხდომაზე, 1 მარტს, სესიამ მოისმინა სამი მოხსენება: „შიშინა აფრიკატთა სპირანტიზაცია ადიღეურ ენებში" (მომხს. გ. როგავა), „ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის უდურ ენაში" (მომხს. ვ. ფანჩვიძე) და „ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი" (მომხს. აკად. გ. ახვლედიანი).

წაკითხულ მოხსენებათა გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ა. გოცირიძემ, აკად. არ. ჩიქობავამ, აკად. ვ. თოფურიამ, აკად. გ. ახვლედიანმა, აკად. დ. უზნაძემ, გ. როგავამ, მ. ხუბუამ, ს. ყიღენტმა და სხვ.

სესიის დახურვისას აკად. გ. ახვლედიანმა აღნიშნა წაკითხულ მოხსენებათა მაღალი მეცნიერული დონე და სთქვა, რომ ამ მოხსენებებს მრავალი ახალი რამ შეაქვთ ქართულ ენათმეცნიერებაში.

„შოპენიანა", „ესმერალდა" და საბალეტო კონცერტი

ბ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე კვლავ განახლდა საბალეტო სპექტაკლები. უკანასკნელად თეატრმა გვიჩვენა „შოპენიანა" მთავარი როლების შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით, „ესმერალდას" მეორე მოქმედება და საბალეტო კონცერტი განახლებული პროგრამით.

ეს სპექტაკლი, რომლის ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი, რუსეთ-ბელიკის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი, საყურადღებოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ გამოავლინა ახალი ნაციონალური საბალეტო კადრები, მათგან პირველ რიგში ი. ალექსიძე.

ი. ალექსიძე უყურადღებას იპყრობს (ამაშია ჩაქნილი მისი შემდგომი წარმატების წყარო) უპირველეს ყოვლისა თავისი პლასტიკურობით, ლირიკული მიმზიდველობით, ცეკვის ხაზების სილამაზით, სიმსუბუქით და გრძნობის უშფოთველობით. მას უკვე ამთავითვე ახასიათებს არტისტულობა და ბანერების კეთილშობილება, თავისუფალი უფლება და დრამატიული გამომსახველობა, ტემპერამენტი და ნამდვილი პროფესიულობა. აკლია მხოლოდ ტექნიკური ოსტატობა, რასაც ის უთუოდ შეიძენს.

„ესმერალდაში" ი. ალექსიძე ასრულებდა ბოშა ქალის ესმერალდას როლს. ბალეტიდან აღებულია მეორე მოქმედება, სადაც არის შესაძლებლობა როგორც კლასიკური, ისე სახასიათო ცეკვების ჩვენებისა. აქ გამოჩნდა არა მარტო ი. ალექსიძე, არამედ ჩვენი საბალეტო ახალგაზრდობის სხვა წარმომადგენლებიც.

„ესმერალდაში" ი. ალექსიძის ცეკვა აღბეჭდილია დრამა გრძნობით, ემოციურობით. მოძრაობა გაჯერებულია. მაყურებელი სცენაზე ხედავს არა მარტო მოცეკვავეს, არამედ დრამატიულ მსახიობსაც. საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ი. ალექსიძემ საბალეტო კონცერტშიც, სადაც იგი კლასიკურ დუეტს ასრულებს ვ. ჭაბუკიანთან ერთად მინკუსის ბალეტ „ბაიადერკიდან".

მოწონების ღირსია ამ სპექტაკლში ახალგაზრდა მოცეკვავე ზ. კიკალეიშვილი. ისიც, როგორც ი. ალექსიძე, ვ. ჭაბუკიანის მოწაფეა. მას კარგად შეუთვისებია თავისი გამოჩენილი მასწავლებლის მანერები—ვაჟური ძალა და მამაცური ირონია, დინამიკა და ეშხპრესია, მოძრაობის სირბილე და სილამაზე. ზ. კიკალეიშვილს კარგი ხტომები აქვს. ის მთავარ როლს ასრულებს „შოპენიანაში" და რეპიკოვის ვალსს ცეკვავს მ. კაზინეცთან ერთად საბალეტო კონცერტში. საცეკვაო ნაწილი მის შესრულებაში ითქმის ყველგან შესაფერ დონეზე დგას. ზოგიერთი ჩავარდნა, რომელიც აქა-იქ იგრძნობოდა, შემდეგში უთუოდ გამოსწორდება. მსახიობი უნდა ერიდოს ზედმეტ ფუსფუსს.

თვალსაჩინო ზრდა გამოამჟღავნა ა. წერეთელმა. ყოველი ახალი როლი მისი წინსვლის მაჩვენებელია. ვ. ჭაბუკიანის ხელი მასაც საგრძნობლად ეტყობა. შესანიშნავია ა. წერეთლის „ფელის ცეკვა" ჩაიკოვსკის „შრელკუნჩიკიდან". ლამაზია მისი კლასიკური ვარიაციებიც „შოპენიანაში" და „ესმერალდაში".

კარგი ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა დამსახურებულმა არტისტმა მ. კაზინეცმა. ის ასრულებდა იმ როლებს, რომლებშიც ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენს წინაშე გამოდიოდნენ საბალეტო ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორიც არიან მ. სემიონოვა და ნ. დუდინსკაია. რასაკვირველია, მ. კაზინეცის შესრულება ვერ აღწევს მათი ოსტატობის სიმაღლეს, მაგრამ მის ცეკვაში რომ ბევრია გრძნობა, მიმზიდველობა, არტისტულობა—ეს უდავოა.

ნამდვილ თეატრალურ დღესასწაულს წარმოადგენს თვით ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობა ამ სპექტაკლში. [illegible] საძალებლობის მოცეკვავეა. [illegible] ცეკვის ბუნებრივი [illegible] ეროვნული [illegible] გრძნობათა, ენებათა, მოქმედებათა გადმოცემაში. და იგი არ ზოგავს ძალასა და ფანტაზიას, რომ მოძრაობის სახოვანი და ლამაზი

„ესმერალდას" მეორე მოქმედება. სურათზე: ვ. ჭაბუკიანი და ი. ალექსიძე.

ენით გახსნას მაყურებლის წინაშე ცეკვის შინაარსი. ვ. ჭაბუკიანის სრულიად განსაკუთრებული ტექნიკური ოსტატობა საბალეტო ხელოვნების მსოფლიო წარმომადგენლების გვერდით აყენებს ამ ნიჭიერ მსახიობს. მაღალ ელასტიკური, პოეტური გზნებით და თან ვაჟკაცური მეტყველებით აღსავსე მოძრაობანი ეშმაკურად აღმფრენის დაუშრეტელი წყაროა მაყურებლისათვის.

განსაკუთრებული ბრწყინვალებით და შეასანიშნავი ტექნიკური ოსტატობით შეასრულა ვ. ჭაბუკიანმა თავისი ვარიაციები „ესმერალდაში" და კლასიკურ დუეტში „ბაიადერკიდან". რამდენი ცეცხლი და ვაჟკაცობაა მის „ინდოელთა ცეკვაში"!

საბალეტო კონცერტის პროგრამაში კლასიკურ ბალეტთან ერთად წარმოდგენილია ქართული ცეკვებიც. შესანიშნავია თავისი მუსიკალური დამუშავებითაც და სცენიური გაფორმებითაც „ტუსაღთა ცეკვა" გრ. კილადის ოპერიდან „ლადო კეცხოველი". კარგად ბგერს ორკესტრში აგრეთვე კ. მეღვინეთ-უხუცესის „მთიულური" (ცეკვას ასრულებდა ა. ჩიხლაძე). ორივე ეს ცეკვა დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ს. ვირსალაძე. მისი მიდრეკილება ხაზგასმულ თეატრალობისადმი საუკეთესოდ ემთხვევა ვ. ჭაბუკიანის საბალეტმეისტერო ნიჭის ხასიათს. გაფორმების პორტატულობა, ამავე დროს მხატვრული ზემოქმედების დიდი ძალა ახასიათებს როგორც „შოპენიანას", ისე „ესმერალდას" მხატვრობას. ლამაზია კოსტიუმები.

თვალსაჩინოა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, სტალინური პრემიის ლაურეატის გრ. კილაძისა და ო. დიმიტრიადის დამსახურება. მათ კარგად შეიტანეს მსმენელამდე „შოპენისა და პუნის მუსიკის სილამაზე. დირიჟორების დაკვირვებულ მუშაობას საგრძნობი წილი მიუძღვის სპექტაკლის წარმატებაში.

შ. ბუაჩიძე

ოპერისა და ბალეტის თეატრში

 დღეს, 4 მარტს, ბ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს უჩვენებს საბალეტო სპექტაკლს „დონ-კიხოტს", რომელშიც ჩელიტას მთავარ როლს პირველად შეასრულებს ახალგაზრდა მოცეკვავე ქ. ნადარეიშვილი.

ბაზილის როლში გამოდის სტალინური პრემიის ლაურეატი, რუსეთ-ბელიკის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი.

მათთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ თ. ჭაბუკიანი, ა. წერეთელი, ნ. ჭყონია, ვ. მეტრეველი, ზ. კიკალეიშვილი, ვ. ყუფარაძე, დამსახურებული არტისტები მ. ბალეარი და ა. ბარხუდაროვი, ე. საფაროვა, ა. გორსკი, მ. ბულიგინა, ლ. შეხოვცოვა, ნ. ნარიმანოვა, ე. ივაშკინი.

სპექტაკლს ავტორია ვ. ჭაბუკიანი. ბატონობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ვირსალაძეს, დირიჟორობს დ. მირცხულავა.

წერილი რედაქციისადმი

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციასა და პირთ, რომლებმაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს დაუვიწყარ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის გარდაცვალების გამო.

ნინო, ოთარ, იზა ლესელიძეები

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ოპერისა და ბალეტის თეატრში

4 მარტს: ხახოპერა—„დონ-კიხოტი". რუსთაველი—„სასტარტლო ფიშინთი". მარჯანიშვილის—„რაც გინახავს, ველარ ნახავ". გრიბოედოვის—„ინე. სერგეევი". სომხური — „ლაღაცეული ოჯახი". მუსკომედიის—„კოლამბინა".

კინოებში

4 მარტს: რუსთაველი—„ერთი გემის ამბავი". ოქტომბერი—„სასამართლო მოდის". დამკვრელი—„ფრონტი". კომკავშირელი — „მეორე ქალი და მწყემსი". ლუკასმბურგის სახ.—„ნათელი გზა". სპარტაკი—„დურსუნ". 26 კომ. სახ.—„ფრონტი".

თბილისის ქალაქდის ფაბრიკა

საწარმო-დაწესებულებების, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან ვადასამუშავებლად იღებს მაკულატურას (ქალაქდის ჩამონაჭრებს, არქივებს, ძველ წიგნებს, ჟურნალებს და ქალაქდის სხვა ნარჩენს).

ჩაბარებულ მაკულატურაში ფაბრიკა იძლევა საფასურს დაწესებული საპრეისკურანტო ფასის მიხედვით და ჩამბარებლებს აძლევს მაკულატურიდან გაკეთებულ ქალაქდს შემდეგი ნორმით: მაკულატურის ყოველ 100 კილოზე—15 კილოგრამ ქალაქდი.

თბილისში მცხოვრებნი მაკულატურას აბარებენ შემდეგი მისამართით: ყარაიის გზატკეცილი, № 38, ნავთლული, ქალაქდის ფაბრიკა, ან საწყობში — თიონეთის მოედანი № 4.

ქალაქგარეთ მცხოვრებნი მაკულატურას ჰგზავნიან შემდეგი მისამართით: სადგური ნავთლული, ქალაქდის ფაბრიკა.

დირექცია

იოსებ ნაზარიშვილი ოჯახით იუწყება სოფიო პეტრეს-ასულ კუპრაძის გარდაცვალებას. პანაშ. 4/III, 7 ს. გამოს. 5/III, 2 ს. ლენინგრადის, 3.

ცოლი ანეტა, შვილები გოგი, ამირან, მირიან იუწყებიან ნიკოლოზ გიორგიძ-ძე მურმანიშვილის გარდაცვალებას. გამოსვ. 5/III, 2 ს. ლაგოდეხის ქ. 13 (საბურთალო).

მეუღლე ვარო, შვილები გიორგი, იოსებ ოჯახებით იუწყებიან, რომ 5/III, 2 ს. ვაკის სასაფლ. დანიშნულია ბაგრატ იოსების-ძე ჩიქვაიძის პანაშვიდი. 237

მეუღლე დიმიტრი, შვილები ვალიკო, მიშა, ქეთევან, ჩუტა ოჯახებით იუწყებიან ხერინო წილოსანის გარდაცვალებას. გამოსვ. 5/III, 2 ს. ვარდისუბნის, 9.

დედა ანეტა, მეუღლე კაკური, შვილები ცისანა, გრიგოლ, ანტუნა იუწყებიან ანტონ წულუკიძის გარდაცვალებას. გამოსვ. 5/III, 4 ს. ორჯონიკიძის, 59. 238

ძეუღლე ელენე, შვილები მარო, ლია, ნანო, და ანასტასია იუწყებიან, რომ 5/III, 2 ს. კუკიის სასაფლ. შესდგება დოკ. გიორგი გიორგის-ძე ავალიშვილის პანაშვიდი.

ოსიდორი, ნუნუ ბერძენიშვილები, ვენერა იური, მანონი პაიჭაძეები, ქ. შარაშენიძე იუწყებიან, რომ 5/III, 2 ს. კუკიის სახ. საფლ. დანიშნ. ლეო პაიჭაძის პანაშვიდი.

მ. შანიძე, ვ. მახაშვილი, გ. სარქისიანი, დ. ჯავახია, შ. დუმბაძე, დ. ახვლედიანი, ქ. ვახანია იუწყებიან ტარასი სილაგაძის შამის კარლეს გარდაცვალებას. გამოსვ. 5/III, 4 ს. გრიბოედოვის, 24. 249

რუსთაველის თეატრის დირექცია და კოლექტივი იუწყებიან რაუფენ ტყეშელაშვილის გარდაცვალებას. პანაშვ. 4/III. 5½ ს. გამოსვ. 5/III, 4 ს. ურმის ჩიხი, 6.

მშობლები გიორგი, პოლინე, ცოლი ნარო შვილებით, დები, სიძეები შვილებით იუწყებიან შალვა ჯიბლაძის გარდაცვალებას.

უკეთ გამოვიყენოთ საგაზეთო ვიტრინები

სამამულო ომის დღეებში, როდესაც უაღრესად გაიზარდა მშრომელთა ინტერესი საგაზეთო მასალებისადმი, უდიდესი პრაქტიკული გამოყენება აქვს საგაზეთო ვიტრინებს. კოლმეურნეს, რომელსაც გაზეთი გამოწერილი არა აქვს, ვიტრინა საშუალებას აძლევს ყოველდღიურად გაეცნოს საგაზეთო მასალებს. გარდა ამისა, კოლმეურნენი ვიტრინასთან რომ იკრიბებიან, მათ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და საკითხის დაზუსტების მეტი საშუალება ეძლევათ.

საგაზეთო ვიტრინების მოწყობისა და გამოყენებისათვის ერთგვარი მეშაობა არის გაწეული თეთრი წყაროს რაიონში.

სოფ. კ. ბ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი საგაზეთო ვიტრინების ფართოდ გამოყენებისათვის. კერძოდ, კოდის, მანგლისის, პრიუტის, წინწყაროს, პატარა ირაგისა და დაღეთ-ხაჩინის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც მანამდე პრაქტიკაში არ ჰქონდათ ვიტრინების გამოყენება, დაავალათ უმოკლეს ვადაში მოეწყოთ საგაზეთო ვიტრინები.

რაიონულ ცენტრში ორი საგაზეთო ვიტრინაა მოწყობილი—„კომუნისტისა" და „ზარი ფოსტოკასათვის". ვიტრინებს პარტიული კაბინეტი ხელმძღვანელობს.

კარგად მოწყობილია საგაზეთო ვიტრინა ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან. აქ ვიტრინა იტევს „კომუნისტის" ორ ნომერს. კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები დიდი ხალისით სარგებლობენ საგაზეთო ვიტრინით. (პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ფარსვანიძე).

ბაგნლისის სადგურ საბჭოსთან უკვე მოეწყო საგაზეთო ვიტრინა. ვიტრინებისათვის ჩარჩოები მომზადებული აქვთ და ახლო მომავალში მოწყობილი იქნება საგაზეთო ვიტრინა დაღეთ-ხაჩინის, წინწყაროს, პატარა ირაგისა და კოდის კოლმეურნეობებში. საგაზ